

ოქმი N5-6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსთა საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის

2019 წელი, 4 მარტი

ქ. ოზურგეთი

15⁰⁰ -16⁰⁰საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები -თ.ტულუში, ვლ.ჩავლეშვილი, ბ.დოლიძე, მ.ჩხიკვიშვილი, დ.ჭაკნელიძე, ტ.აროშიძე, ლ.კილაძე, ნ.ორაგველიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ვლ.დლონტი, ჯ.თავართქილაძე, ვ.ჩხაიძე, ვ.ნიჭარაძე, ბ.ქათამაძე, თ.ბურჭულაძე, დ.მჟავანაძე, ე.გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხს: გ.კილაძე

თანამომხს: პ.ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წელში განსახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

თანამომხს: თ.გიორგაძე.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

თანამომხს: თ.გიორგაძე.

4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა, გ.კილაძე

5.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აბაშიძისა და ქადეიშვილის ქუჩის მცხოვრებთა განცხადების განხილვის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

5.სოფელ ძიმითის მცხოვრებ ზ.ანდლულაძის განცხადების განხილვის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა.

6. სსიპ „წიადის ეროვნული სააგენტო“-ს მიმდინარე წლის 6 თებერვლის N22/551 წერილის თაობაზე.

მომხს:გ.კილაძე

7.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

მომხსენებელმა კომისიათა წევრებს გააცნო ის ცვლილებები, რომელიც მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტშია გათვალისწინებული. თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ კონკრეტულად ისაუბრა ცვლილებებზე, კომისიათა წევრებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად პროექტი იმსახურებს მხარდაჭერას.

კომისიათა წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის მოხსენება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წელში განსახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ“ და მხარი დაუჭირეს მას. ასევე მოისმინეს მოკლე ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“, აღნიშნეს, რომ შესრულებული სამუშაოები დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არსებობს ამ კუთხით მოსაწესრიგებელი მრავალი პრობლემა, რომლებზედაც კომისიის დასკვნა გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას. მათ შორის საჯარო სკოლებთან და ბავშვთა ბაღებთან სიჩქარის შემზღვევლების მოწყობისა და სოფელ სილაურის რეაბილიტირებულ ცენტრალურ გზაზე საგზაო ნიშნების მოწყობის შესახებ.

კომისიათა წევრები გაეცნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენა. იმსჯელეს აბაშიძისა და ქადეიშვილის ქუჩების მცხოვრებთა და სოფელ ძიმითის მცხოვრებ ზ.ანდლულაძის განცხადებებზე და მიზანშეწონილად ჩათვალეს მათი მუნიციპალიტეტის მერისათვის რეაგირების მიზნით გადაგზავნა.

სსიპ „წიადის ეროვნული სააგენტო“-ს 2019 წლის 6 თებერვლის N22/551 წერილზე კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, შეხვდნენ სოფლის მოსახლეობას მათი პოზიციის გაგების მიზნით.

კომისიათა წევრებმა განიხილეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წამოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის პროექტი და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნები(თან ერთვის) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული N1, 2, 4, 7 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“ - ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად, ამასთან განსახორციელებელ სამუშაოებზე ეცნობოს მუნიციპალიტეტის მერიას.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძისა და ქადეიშვილის ქუჩების მცხოვრებთა და სოფელ ძიმითის მცხოვრებ ზ.ანდლულაძის განცხადებებზე რეგირების მიზნით ,წერილი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს (კ.შარაშენიძე).

4. სსიპ „წილის ეროვნული სააგენტო“-ს 2019 წლის 6 თებერვლის N22/551 წერილის თაობაზე კომისიის წევრები შეხვდნენ სოფლის მოსახლეობას მათი პროზიციის გაგების მიზნით.

ლავრენტი ბიგვავა

კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია